# ქ. თბილისი, შ. ქიქოძის ქ. №8-ში მდებარე შენობისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-არქიტექტურული ანალიზი

თბილისი

2016

თბილისის, როგორც ქალაქის დაწინაურების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა იყო. ამდენად, VI საუკუნის დასაწყისიდან თბილისი უკვე ქართლის დედაქალაქია, 523 წლიდან კი იგი ერისმთავართა რეზიდენციად იქცევა. ამ დროიდან მცხეთა ნელ-ნელა კარგავს თავის წინანდელ მნიშვნელობას და პირველობას თბილისს უთმობს: "მაშინ მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა" ("მოქცევაჲ ქართლისაჲ"). ამ პერიოდის თბილისი, მხოლოდ რამოდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა, XIX ს-ის ორმოციან-სამოციან წლების თბილისის გეგმაზე უკვე იკვეთება ახალუბნებიც.

ამ პერიოდის შესახებ წარმოდგენას ძირითადად იმდროინდელი 1782, 1800, 1802 წლის გეგმები გვაწვდიან, რომელზეც თანდათანობის ჩნდება თბილისის გარეთუბნები.



თბილისის გეგმა შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის მიერ. 1735 წელი

მათ რიცხვშია სალალაკიც, რომელიც 1800 წლის გეგმზე აღნიშნულია როგორ მეფისა და დედოფლის, ასევე გიორგი ბატონიშვილის ბაღები. ძველი ქალაქის ზრდის ტენდენცია ჩრდილო დასავლეთისკენ იყო მიმართული, თანდათანობით მზარდი ქალაქი მიუახლოვდა სალალაკის ბაღებსაც და მათი გაჩეხვაც დაიწყო.



თბილისის გეგმა. 1800 წელი

1826 წელს გამბა ამ უბნის შესახებ წერდა "ერეკლეს მშვენიერი ბაღი, განთქმული ჩრდილოვანი ვერხვებითა და ალვის ხეებით ახლა განკუთვნილია ახალი უბნის ასაგებადო" სწორედ ამ ტერიტორიაზე დაიწყო ახალი უბნის სალალაკის მშენებლობაც. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა ქუჩათა რეგულარული ქსელი, რომელიც დღემდეა მოღწეული. განაშენიანება თანდათანობით, ეტაპობრივად მიმდინარეობდა, მაგ. 1832 წელს ახლანდელ შ. დადიანის ქუჩაზე სახლები ჯერ მხოლოდ ერთ მხარეს იდგა, მეორე ნაწილში ისევ ვენახები იყო. შემდეგ წლებში კი მშენებლობამ თანდათანობით რეგულარული სახე მიიღო.

სალალაკის ბაღებმა ადგილი ბურჟუაზიულ სახლებს დაუთმო. 40-იან წლებში შენობათა რიცხვმა იმატა, თუმც ჯერ კიდევ შეინიშნება ბაღების ნაშტები.

XIX საუკუნის II ნახევრიდან უკვე განსხვავება ჩნდება თბილისის ძველ და ახლ უბნებს შორის. კალა ვიწრო ქუჩების, ჩიხების, შესახვევების დახლართული, ქაოტური ქსელისაგან შედგება, მაშინ როდესაც ახალი უბნები მეტი რეგულარულობით გამოირჩევა და საცხოვრებელი ნაწილიც აქეთკენ ინაცვლებს;. ჩნდება ურთიერთპერპენდიკულარურ და პერპერდიუკულარურ ქუჩათა მთელი ქსელი.

ახალუბნების ფუნქციურ დიფერენციაციასთან ერთად ისახება ამ ცლკეული უბნების სოციალური სხეც. მაგალითად XIX საუკუნის I ნახევრიდან გარეთუბანი, კერძოდ კი სალალაკი არისტოკრატთა საცხოვრებელი უბანი ხდება. აქ შენდება წარჩინებულთა საცხოვრებელი სახლები. 40-იანი წლების პრესაში სალალაკი არისტოკრატთა უბნად მოიხსენიება. მომდევნი პრიოდშიც ეს ტენდენცია გრძელდება და ეს უბანი ყველაზე მოდურ უბნად და სახარბიელო ადგილად იქცევა. ორმოციან ორმოცდაათიან წლებში აქ მშენებლობა პიკს აღწევს.

საბოლოო ჯამში სოლოლაკი რეგულარული დაგეგმარებათა და სისტემური ქუჩათა ქსელით ხასაითდება. სადაც რუსეთის იმპერიის სტანდარტად შემუშავებული პროპორციები და ფასადები, გაზრდილი მაშტაბი, სტილების სიმკაფიოე და არქიტექტურული კანონის სიმკაცრე დომინირებს. მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით სახასიათოა:

- ფასადები პროექტებს დაქვემდებარებული, გააზრებულ-გათვლილი, შიდა ეზოების მხარეს კვლავ თბილისური სპეციფიკა;
- ეკონომიკური სიძლიერე – ქვის ნაგებობების სიჭარბე. შელესილი ფასადები, ქვის პლასტიკის და დეკორის სიჭარბე;
- სახლები განვითარებული მრავალბინიანი სტრუქტურა, ევროპულთან ახლომდგომი, თბილისური იერის შენარჩუნებით.

„მოდერნი“ „კლასიციზმი“, ფსევდო–გოთიკა, ფსევდო-მავრიტანული, ცრურენესანსი; ხელოსნობის მაღალი პროფესიული დონე, დამუშავებული რელიეფური სამკაული, მაღალმხატვრული ჭედური ან ჩამოსხმული ლითონის

ელემენტები, მოხატული სადარბაზოები, მარმარილოს თლილი კიბეები, შიდა ვიტრიჟები, ერკერები. სოლოლაკმა მრავლად შემოინახა XIX ს. არქიტექტურის საავტორო ნიმუშები: თბილისში მოღვაწე უცხოელი არქიტექტორების შემოქმედების შედეგი, მემორიალური სახლები, კულტურულ დაწესებულებათა კონცენტრაცია.

ძველი თბილისის ამ უბნების მთავარი თვისებაა „ხელთქმნილება“ ცოცხალის განცდა, არამექანიკური, არატირაჟირებული, ერთადერთი და ყოველ კერძო შემთხვევაში საავტორო ნიმუშების ერთობლიობა: ცოცხალი ქალაქი.

ამდენად, ამ ხასიათის შესანარჩუნებლად აუცილებლად მივიჩნევთ საცხოვრებელი უბნების ხასიათის, მოსახლეობის სიჭრელის შენარჩუნებას, რელიგიური, კულტურული და საგანმანათლებლო ფუნქციების მჭიდროდ დაკავშირებას საცხოვრებელი უბნის ტრადიციულ ფუნქციებთან და მის ფრთხილ, ზომიერ გაჯერებას ახალი ფუნქციებით.

ეს ყოველივე „ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აღმავლობისთვის, ეთნიკური ტოლერანტობის, დემოკრატიული ცხოვრების სტანდარტების და სამოქალაქო საზოგადოების სიმწიფისათვის“*.

* თბილისის ისტორიული ნაწილის მენეჯმენტის გეგმის სტრატეგიული მიმართულებანი. ICOMOS-საქართველოს ეროვნული კომიტეტი. თბილისი 2003, გვ.88

*საპროექტო ობიექტისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიული ექსკურსი*

ჩვენი საკვლევი ობიექტი, სწორედ ამ ჩამოყალიბებულ გარემოში მდებარეობს, რომელიც სავსეა ისტორიული მეხსიერებით. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავს არამხოლოდ საპროექტო ობიექტის, არამედ მიმდებარე გარემოს ხასიათსაც და მის განსაკუთრებულობას ქმნის.

შენობა შ. ქიქოძისა და მ. ლერმონტოვის ქუჩათა კვეთაზე მდებარეობს, ისტორიულ განაშენიანებაში. პირველი რაც შენობის იდენტიფიცირებისათვის გაკეთდა, საარქივო მასალის დამუშავება იყო, სადაც რამოდენიმე საინტერესო ფაქტს წავაწყდით.

სოლოლაკის უბნის, კერძოდ კი საკვლევი ობიექტის მიმდებარე ურბანულ განაშენიანებაზე აღარ შევჩერდებით, რადგან წინა თავში ზოგადად ვისაუბრეთ უბნის ჩამოყალიბების შესახებ. ამჯერად უშუალოდ საპროექტო ობიექტის შესახებ გავაკეთებთ რამოდენიმე მინიშნებას.

ყველაზე ადრეული საარქივო რუკა, რომელიც ჩვენი ობიექტის შესახებ რაიმე ინფორმაციას გვაწვდის, 1867 წლის რუკაა.



თბილისის გეგმა. 1867 წელი

მასზე ნათლად ჩანს, რომ პასკევიჩისა (ამჟამინდელი შ. ქიქოძე) და მ. ლერმონტოვის ქუჩათა კვეთაზე საკმაოდ აქტიურ მწვანე საფარია. გამწვანება უშუალოდ ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ნაკვეთს მოიცავს, წინა, სერგეევსკის ამჟამინდელი მაჩაბლის ქუჩაზე გადის და ამჟამინდელი მწერალთა სახლის (ყოფ. ივ. სარაჯიშვილის) სახლის ეზომდე წვდება. სრულიად ნათელია, რომ ამ პერიოდში კონკრეტული კვარტალი ჯერ არ არის ბოლომდე განაშენიანებული, რადგან ქუჩისპირზე შენობები არ იკითხება.




თბილისის გეგმა. 1913, 1924 წელი

შემდეგი რუკა 1903, 1924 წლის რუკებზე მხოლოდ კვარტლებია დატანილი და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, რომელთა შესახებაც ექსპლიკაციაში იკითხება. მათ შორის ჩვენი საკვევი ტერიტორია თავისუფალია, რაც იმის მანიშნებელია, რომ მასზე შენობა ნაგებები დგას, თუმცა განსაკუთრებული ფუნქციისა არა, რომ მათი აღნიშვნა დამატებით ყოფილიყო

აუცილებელი. ჩვენს ხელთ ჩავარდა თბილისის საარქივო რუკა, რომელზეც საწუხაროდ არ არის დატანილი წელი, თუმცა ცალკეული შენობების იდენტიფიცირებით ვხვდებით რომ XX საუკუნის I ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს. აღნიშნულ რუკაზე ჩვენი საკვლევი ტერიტორია დაახლოებით იმ კონფიგურაციით არის მოხაზული, როგორც 1867 წლის რუკაზე, ხოლო ექსპლიკაციაში ვკითხულობთ: „упровление уполномоеннаго главноупр. З. и З. на Кавказ". ცხადია რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ასეთი დანიშნულები ობიექტი არსებობდა, თუმცა საინტერესოა აღნიშნულ რუკაზე ამგვარი კონფიგურაციით შენობაა აღნიშნული თუ ორგანიზაციის მიწის ნაკვეთი??






| | | |
|---|---|---|
| путей сообщенія . . . . . | 71 | III |
| Кавказское горное управленіе . . . . . | 72 | III |
| Управленіе полиціймейстера. | 73 | III |
| Управленіе Уполномоченнаго Главноупр. З. и З. на Кавказѣ . . . . . | 74 | III |
| Канцелярія Тифлис. Губернатора. . . . . | 75 | III |
| Тифлис. Манташевская торговая школа . . . . . | 76 | III |
| Тифлис. коммерческое училище . . . . . | 77 | VIII |

თბილისის გეგმა

ამ მხრიავ ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის ქ. თბილისის ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალა, რომელიც 1897 წლის, თბილისის გეგმის მიხედვით არის დამუსაავებული და მასზე შესაძლებელია ნაკვეთებისა და მეპატრონეების იდენტიფიცირება.



თბილისის გეგმა. 1897 წლის პლანშეტი. ცენტრალური საისტორიო არქივი

აღნიშნულ გეგმაზე ნათლად იკითხება სწორკუთხა ფორმის ნაკვეთები, რომლებიც გეგმაზომიერად სერავს კვარტლებს. მათ შორის არის ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია, რომელიც ორ მართკუთხა სხვადასხვა ზომის ნაკვეთად იყოფა. განმარტებაში ვკითხულობთ, რომ ქუჩათა კვეთაზე, შედარებით

დიდი ნაკვეთის მეპატრონე ალექსანდე მანთაშევია[1]. მომიჯნავედ არსებული ნაკვეთი ვინმე იგორ მიხეილის ძე პროდონოვს ეკუთვნოდა[2]. სხვათაშორის ის ასევე არის მეპატრონე, წინა ორი ნაკვეთისა, რომელიც მაჩაბელის ქუჩაზე გადის. გრაფიკულად რომ წარმოვიდგინოთ, პროდონოვისა და მანთაშევის ნაკვეთები, დაახლოებით იმ კონფიგურაციას ხაზავენ, რომელიც ბოლო საარქივო რუკაზე იკითხება.

განსაკუთრებით საინტერესოა XX ს-ის დასაწყისის ფოტომასალა, რომელიც ასევე რამოდენიმე ფაქტს აზუსტებს. კონკრეტულად ჩვენი ობიექტის ფოტოსურათი სამწუხაროდ არ გვაქვს, თუმცა თბილისის პანორამული ფოტოებზე დაკვირვებით შესაძლებელია იმდროინდელი სურათის აღდგენა.

[1] ალექსანდრე მანთაშევი ცნობილი თბილისელი მეწარმე იყო, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქალაქის განაშენიანებაში. მას არაერთი ცნობილი შენობის მშენებლობა დაუფინანსებია და მათ შორის გახლდათ თბილისის სავაჭრო სკოლა, რომელიც თბილისელი ვაჭრების საზოგადოების მიერ, ალექსანდრე მანთაშევის ფულით აშენდა და მის სახელს ატარებდა. 1910 წელს არქიტექტორ გაზაროს სარქსიანის პროექტით ბებუთოვის ქუჩაზე (ამჟამად ლადო ასათიანის ქუჩა) აშენებული შენობა მანთაშევის უსაყვარლესი ნაგებობა იყო, რომლისთვისაც მას არც ხარჯები და არც დრო არ დაუზოგავს. სავაჭრო სკოლა იმ დროის ტფილისის სკოლებს შორის გამორჩეული გახლდათ. ის აღჭურვილი იყო იმ დროისთვის უახლესი ტექნიკით: ჰქონდა საუკეთესო ლაბორატორიები, კაბინეტები, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა და ბუფეტი. შენობას ამშვენებდა ბრინჯაოსგან დამზადებული დაფა, რომელზეც ეწერა, რომ სავაჭრო სკოლა 1910 წლის 1 ივლისს ააგო თბილისის ვაჭართა საზოგადოებამ მისი უდიდებულესობა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის მთავარმმართებლად მსახურობის დროს და ალექსანდრე მანთაშევის ფინანსური დახმარებით. სამწუხაროდ, 1911 წელს ალექსანდრე მანთაშევი გარდაიცვალა და სკოლას მისი სახელი ეწოდა. 1922 წლამდე, გარდაცვალების დღეს, 19 აპრილს, მანთაშევს სკოლაში პანაშვიდს უხდიდნენ, თუმცა, საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ეს ტრადიცია დაირღვა. როგორც დაიკარგა მანთაშევის ბიუსტი, რომელიც 1922 წლამდე სკოლის ვესტიბიულში იდგა. ამჟამად მანთაშევის სავაჭრო სკოლაში თბილისის 43-ე სკოლაა განთავსებული

[2] სამწუხაროდ აღნიშნულ პიროვნებაზე არანაირი ინფორმაცია არ მოიძებნა გარდა იმისა, რომ ის რამოდენიმე ნაკვეთის მფლობელი გახლდათ.



XX ს-ის დასაწყისი, თბილისის საარქივო ფოტო. დეტალი

ჩვენთვის საინტერესო ობიექტის იდენტიფიცირება მარტივად არის შესაძლებელი, გვერდით არსებული შენობის კონფიგურაციის გამო. აღნიშნულ ფოტოზე დაკვირვებისას ნათლად ჩნდება ჩვენი საკვლევი ტერიტორია: შ. ქიქოძისა და მ. ლერმონტოვის ქუჩათა კვეთაზე არსებული ნაგებობა, რომელიც შედარებით მაღალი მოცობასთან ჩერდება, თუმცა ყურადღებით დაკვირვებისას ვხედავთ, რომ შენობის კუთხეში სახურავი არაერთგვაროვანია. მისი სიმაღლე ძირითად მოცულობასთან შედარებით აშკარად უფრო მაღალია; თითქოს ფასადის რიტმიკაც ძირითადი მოცულობისგან განსხვავება.



XIX ს-ის ბოლო, თბილისის საარქივო ფოტო. დეტალი

ორივე ფოტოზე ხაზგასმით იკითხება შენობის უკან არსებული საკმაოდ მასიური მწვანე საფარი. მცენარეები შენობათა უკან საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავს. კონფიგურაცია აქაც იგივეა, რომელიც შ. ქიქოძისა და ივ. მაჩაბელის ქუჩებს შორის არსებულ მონაკვეთზე თავსდება. როგორც ჩანს ქუჩებზე გამომავალ შენობებს ერთი, საკმაოდ მასიური შიდა ეზო ჰქონიათ, რომელსაც სავარაუდოდ ყველა შენობა ეხსნებოდა. საარქივო მასალის დამუშავების შედეგად, რამოდენიმე საინტერო დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი, კერძოდ:

- ჩვენთვის საინეტრესო ტერიტორიაზე თავდაპირველად ორი საპროექტო ნაკვეთი იკითხება, მანთაშევისა და პროდონოვის საკუთრებაში - სრულებით ცხადია რომ ორი დამოუკიდებელი ნაგებობით, რომლებიც პასკევიჩის ამჟამინდელ შ. ქიქოძის ქუჩას ეხსნებოდნენ;
- მოგვიანებით მანთაშევისა და პროდონოვის ნაკვეთები შენობებითურთ გაერთიანდა, რომელშიც სავარაუდოდ დაარსდა „упровление уполномоеннаго главноупр. З. и З. на Кавказ”. სავარაუდოდ სწორედ ამიტომ

არის აღნიშნულ რუკაზე არსებული კონფიგურაცია, რომელიც პროდონოვისა და მანთაშევის ყველა ნაკვეთის საზღვრებს მოიცავს. (აღნიშნული გაერთიანება მალევე უნდა მომხდარიყო, არაუგვიანეს XX ს-ის პირველი ათეულისა, შესაძლებელია ალ. მანთაშევის გარდაცვალების შემდეგაც 1911 წელს);

- მიწის ნაკვეთები არახოლოდ შენობებს, არამედ შიდა ბაღს მოიცავდა, რომელსაც ყველა მოსაზღვრე შენობა ეხსნებოდა.

ამდენად, როგორც ჩანს შენობისა და საპროექტო ნაგებობის ისტორია XIX ს-ის ბოლოდან იწყება და ქრონოლოგიურად რამოდენიმე ეტაპს მოიცავს. შემდეგ ნაწილში შევეცდებით სამშენებლო ქრონოლოგიური ფენების დადგენას.

საპროექტო ობიექტი ორი ქუჩის მ. ლერმონტოვისა და შ. ქიქოძის ქუჩათა კვეთაზე მდებარეობს და თავისი მდებარეობით აყალიბებს ორი ქუჩის კიდეს. იმის გათვალისწინებით რომ შ. ქიქოძის ქუჩაზე მოძრაობისას, კვარტლების კვეთაზე სწორედ აღნიშნული ნაგებობა გვეგებება, რომელიც თავისი მორგებული ფორმით კრავს როგორც მ. ლერმონტოვის ასევე შ. ქიქოძის ქუჩებს. ორსართულიანი შენობა, რელიეფს ემორჩილება და მის კონფიგურაციას იმეორებს. შესაბამისად თუ ის შ. ქიქოძის ქუჩაზე ორი სართულია, მ. ლერმონტოვი ქუჩის მხრიდან ცოკოლის სართული სრულ სართულად იქცევა. სტილისტურად ფსევდო-რენესანსული ყაიდაზე ნაგები ფასადი დახვეწილ ნიმუშს წარმოადგენს და XIX ს-ის ბოლოს თბილისური არქიტექტურის ერთერთ საინტერესო ნიმუშს ქმნის.




შ. ქიქოძის ქ. №8

*ფასადი*

შენობის საფსადო კომპოზიცია სიმეტრიულ პრინციპზეა აგებული, რაც ფსევდო რენესანსული სტილისთვის არის ნიშანდობლივი. სახლი დგას მძლავრ ცოკოლის სართულს ეყდრნობა, რომელიც მთლიანად რუსტირებულია და გამორჩეულია ნაგებობის ზედა ნაწილისგან იმიტირებული ქვის რუხი ფაქტურით.



შ. ქიქოძის ქ. №8

ცოკოლის პირველი სართული, ე.წ სარდაფის სართული წარმოადგენს ნაგებობის საფუძველს და შენობის მთელი სხეული მის საყრდენ კედლებზეა ამოზრდილი. სარდაფის პერიმეტრი მთლიანად იმეორებს ნაგებობის აბრისს. ცოკოლის სართულზე თარაზული ფორმის სარკმლებია ჩარიგებული.



შ. ქიქოძის ქ. №8

შენობის ზედა სართული დეკორატიული სიუხვით გამოირჩევა. კედლის ზედაპირს რთულპროფილიანი სარკმლები სერავს, თარო სანდრიკებით გაფორმებული. ღიობთა, კომპოიზიციურად მნიშვნელოვანი ცენტრები, შენობის თავსა და ბოლოში, შეწყვილებული სარკმლით გამოიყოფა, ფლანკირებული დეკორატიული პილასტრით. ქიქოძის ქუჩის მხარეს გამომავალი ფასადის ცენტრში, საკმაოდ მძლავი დეკორატიული ფსევდო იონიური ორდერის

პილასტრებია განთავსებული, რომელიც ერთის მხრივ ფლანკირებას უკეთებს ფასადის კომპოზიციურ ცენტრს და ამავდროულად ოვალური ფორმის ტიმპანის საყრდენს ქმნის.

შენობის ძირითად მხატვრულ აქცენტს, ლითონის შეკიდული აივნები განაპირობებს: მცენარეული ორნამენტისა, ხოლო ცენტრში ქალის მედალიონში ჩასმული გამოსახულებებით. ნაგებობის ორსავ მხარეს ოვალური ფორმის ტიმპანია, რომელიც გაფორმებულია ორნამენტული რელიეფებით. შენობა სრულდება ხის ნივნივებზე მოწყობილი თუნუქის ორქანობიანი საბურავით.

ლერმონტოვის ქუჩაზე გამავალი ფასადი იდენტურია, შენობის ბოლოში აქცენტირებული ხის, უსახური სადარბაზოს კარით.



შ. ქიქოძის ქ. №8

შენობა საკმაოდ დიდ პერიმეტრზე იხსნება, მიუხედავად ზემოთგანხილული სტილისტური ერთიანობისა, დაკვირვების შედმეგად რამოდენიმე გარემოება

იკვეთება, კერძოდ: შ. ქიქოძის ქუჩის მხარეს, ფასადის ბოლო მონაკვეთის დეკორატიული გაფორმება, ერთგვარი სიხისტით გამოირჩევა.



შ. ქიქოძის ქ. №8. დეტალი

ნახაზი მეტად ზანტია და დეკორატიულ შემკულობას ის სიძლიერე არ აქვს, რაც ფასადის ძირითადი ნაწილისას. სუსტია რუსტის წყობაც. დეკორატიული ნალესობის შიგნით ძველი ქართული აგურის ნაცვლად ე.წ. რუსული აგურია გამოყენებული. სრულიად ცხადია, რომ ეს მონაკვეთი ბოლო პერიოდში ან გადაკეთებულია, ან ძირითადი შენობის სტილისტიკას მიმსგავსებული. ამ მხრივ განსაკუთრებით დაგვეხმარა შენობის შიდა ეზოსა და ინტერიერების დათვალიერება.




შ. ქიქოძის ქ. №8. შიდა ეზო

შიდა ეზოს დათვალიერებისას, სურათი სავსებით ნათელი ხდება რომ საქმე გვაქვს ორ დამოუკიდებელ ნაგებობასთან, რომლის ფასადებიც გაერთიანებულია. მარცხნივ არსებული მცირე ზომის შენობა ორსართულიანია, სავარაუდოდ პირველი სართული ეზოში შემომსავლელ გვირაბს ეჭირა, რაზეც მეტყველებს საკმაოდ მაღალი თაღის ფორმა და ინტერიერის ნახევრადთაღოვანი, ლითონის სამაგრებით შეკრული კამარა (ასეთი ტიპის გადახურვა ძირითადად სარდაფებში, ან შესასვლელ თაღებში გვხვდება). II სართული ხის ღია აივნებით იხსნება, სავარაუდოდ აღნიშნული აივანიც ადგილშეცვლილია. აღნიშნული სივრცის სარდაფიც სახეცვლილია, მხოლოდ ალაგ-ალაგ გვხვდება აგურის ძველი წყობა. აღნიშნული მოცულობის შიდა გეგმარებითი სტრუქტურა აბსოლუტურად შეცვილია, საჭიროების მიხედვით სივრცეები გახსნილი და ამოშენებული. სამწუხაროდ მის ავთენტური გეგმარებაზე საუბარი ზედმეტია.
მეორე, შედარებით დიდი ზომის შენობის შიდა ეზო სრულებით გადაკეთებულია, სავარაუდოდ ეზოს მხარეს გამომავალი შუშაბანდები მოგვიანებით არის მიშენებული. აღნიშნული შენობის შიდა გეგმარებითი სტრუქტურა II სართულზე

უცვლელია: საკმაოდ დიდი ზომის დარბაზი (ეზოს მხარეს) და შ. ქიქოძის ქუჩის მახრეს ანფილადური სისტებით განთავსებული ოთახები.





შ. ქიქოძის ქ. №8. ინტერიერი

I სართული საგრძნობლად გადაკეთებულია. მოგვიანო პერიოდშია ჩაშენებული სადარბაზოს მასიური უჯრედი. შენობის შიდა გეგმარებიდან I სართულზე, მხოლოდ ძირითადი ოთახია შემორჩენილი.

ამდენად, როგორც ჩანს შენობა არაერთი გადაკეთების მხსვერპლია, რაც ერთგვარი ქრონოლოგიური ფენის დადგენის საშუალებას გვაძლევს:
I პერიოდი – XIX ს-ის ბოლო – ორი დამოუკიდებელი ტიპის შენობა;
II პერიოდი – XX ს-ის დასაწყისი მცირე ზომის მოცულობის ნაწილობრივი დაშლა (შესაძლებელია ხანძარი) ფასადების ერთიან ყაიდაზე მოწყობა, მათი შინაარსობრივი გაერთიანება, ეზოს მხარეს ფასადისთვის შუშაბანდის მიშენება.
III პერიოდი – XX ს-ის შუა ხანა – სადარბაზოს მოწყობა, მცირე შენობაში ინტერიერის საფუძვლიანი ცვლილება.



შ. ქიქოძის ქ. №8. ინტერიერი

განსაკუთრებით საინტერესოა მანთაშვისეული შენობის ინტერიერი, რომელმაც როგორც უკვე აღვნიშნეთ მეტნაკლებად ავთენტურად მოაღწია დღევანდელ დღემდე. გარდა II სართულის გეგმარებითი სტრუქტურისა, შენარჩუნებულია შიდა გამავალი ხის მასიური კარებები.

ყველა კარი, ზომის მიუხედავად, ერთიანი სტილისტიკით ხასიათდება. ხის ჩარჩო, ზედა ორივე მონაკვეთში მცენარის ფოთლოვანი გამოსახულებებით. თავად კარი მასიურია და ერთიანი, ზედა მონაკვეთში მოდერნული ყაიდის მართკუთხა ფორმის ჩარჩოებით, ცენტრში, ნახევრადთაღოვან ფორმაზე ანალოგიური მცენარეული ორნამენტია განთავსებული. შიდა კარებების

დამუშავების სტილისტიკა ყველგან ანალოგიურია, განსხვავებულია მხოლოდ კარების ფორმა, რომელიც ღიობის ფორმაზეა დამოკიდებული.





შ. ქიქოძის ქ. №8. ინტერიერი

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ძირითადი დარბაზი. ფართე, განიერი ოთახი, რომელიც თავდაპირველად ბაღს ეხსნებოდა. დარბაზი სავარაუდოდ მოხატული ყოფილა, იმ პერიოდის ინტერიერის გაფორმების შესაბამისად, რასაც მოხატული (უფრო ზუსტად დაფერილი) კედლის დეტალი ადასტურებს. დარბაზის მარჯვენა კუთხეში აღმოჩნდა სრულებით განსაკუთრებული, უნიკალური თუჯის კედლის გამათბობები, რომლის დეკორატიული დამუშავება, თავად ნივთის სიძვირფასეზე მიუთითებს.

ამდენად, როგორც ჩანს ამ მცირე დეტალების საშუალებითაც მეტნაკლებად წარმოსადგენია, როგორ მდიდრულად იყო გაფორმებული შენობის ინტერიერი.

მიუხედავად არაერთგზის გადაკეთებისა, ერთ-ერთ ოთახში ჭერის დეკორატიული ნაძერწობის დეტალი იკითხება.



შ. ქიქოძის ქ. №8. ინტერიერის დეკორატიული ელემენტები

ბოლო პერიოდში შენობაზე განხრციელებულმა კვლევითმა სამუშაოებმა, ნათელი გახადა არაერთი გადაკეთების კვალი, რომელიც შენობაზე განუხორციელებიათ. შენობის პირველ სართულზე, ნალესობის ქვეშ ნათლად იკითხება შენობის გადაკეთების ქრონოლოგია, რომელიც საკმაოდ უხეშია და სხვადასხვა ზემოთარწერილს ფაზას მოიცავს. როგორც ჩანს განსაკუთრებით უხეშად მოხდა შენობაში სადარბაზოს უჯრედის მოწყობის სამუშაოები, როდესაც შენობის სხეულში საკმაოდ დიდი სივრცე გაიხსნა და მასიური მარმარილოს კიბეებიანი მარში მოეწყო. ცხადია შენობას მანამდეც ჰქონდა სადარბაზოს უჯრედი მასიური ლითონი სხმული დეკორატიული კიბებით, რომელიც რეკონსტრუქციის დროს მოუხსნიათ და ეზოში მიუდგიათ შენობის

უკანა ფასადზე, სადაც მისი არსებობა სრულიად უადგილო და გაუმართლებელია.



შ. ქიქოძის ქ. №8. ლითონის კიბე

დღეის მდგომარეობით შენობის ფიზიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, არაერთმა გადაკეთებამ მას ცხადია თავისი კვალი დაამჩნია. განსაკუთრებით საზიანო კიბის უჯერდის მოწყობის სამუშაოები აღმოჩნდა.

როგორც შენობის ისტორიულ, მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, ნაგებობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არამხოლოდ კონკრეტული მონაკვეთის, არამედ უბნის განვითარების ისტორიაში, და XIX ს-ის ბოლოს თბილისური არქიტექტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ სრულიად სამართლიანად ის კულტურის უძრავ ძეგლთა ნუსხაშია შეყვანილი.

რაც შეეხება განსახორციელებელ სამუშაოებს, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნაგებობა კულტურის უძრავ ძეგლს წარმოადგენს, მასზე დასაშვებია კანონით გათვალისწინებული შემდეგი სახის სამუშაოები:

ა) დაზვერვა;

ბ) გაწმენდა;

გ) კონსერვაცია;

დ) რესტავრაცია;

ე) რეკონსტრუქცია;

ვ) ადაპტაცია;

ზ) უძრავი ძეგლის ცვლილება.

“მუხლი 26. ძეგლის დაშლა, გადაკეთება, გადაადგილება, დანაწევრება

1. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ადაპტაციის ინტერესებიდან გამომდინარე, თუ ეს არ გამოიწვევს ძეგლის დაზიანებას ან მისი ისტორიულ-კულტურული ღირებულების შემცირებას.

3. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად არსებობს ძეგლის გამოუსწორებელი დაზიანების ან განადგურების საფრთხე;
ბ) არსებობს მისი გადაადგილების მომეტებული საჯარო ინტერესი, გარდა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისა.
4. უძრავი ძეგლის გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ თავდაპირველ გარემოსთან შეძლებისდაგვარად მიმსგავსებულ გარემოში, ავთენტიკური მასალის გამოყენებით მისი რეკონსტრუქციის გზით, თავდაპირველი სახით აღდგენის პირობით".

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისთავად იკვეთება ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები სახეები. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში სამუშაოები უნდა განხორციელდეს დიდი სიფრთხილით და ძეგლთადაცვითი ინტერესების გათვალისწინებით, რათა შენარჩუნებულ იქმას ყველა ის მახასაითებელი რაც შენობას გააჩნია. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- უმთავრესად მოსამზადებელია კონსტრუქციული დასკვნა შენობის მდგომარეობის შესახებ, რომ მასზე დაყრდნობით განისაზღვროს ჩასატარებელი სამუშაოს სახეობა;
- უმთავრესად შენარჩუნებულ იქნას შენობის საფასადო კომპოზიცია. რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდოლოგიის სრული დაცვით მოხდეს ფასადთა მხატვრული ელემენტებისა თუ დეტალების აღდგენა შენარჩუნება;
- რესტავრირებულ იქნას ფასადსა და შიდა ეზოში განთავსებული მცირე ლითონისა და ხის ელემენტები როგორიც არის ჭვირული აივნები, სადარბაზოს კარი და სხვ. სასურველია მოხდეს ეზოში განთავსებული ლითონის სხმული კიბის ადგილმონაცვლობა სავარაუდოდ ინტერიერში?
- შენარჩუნებულ და რესტავრირებულ იქნას ინტერიერში განთავსებული მცირე დეკორატიული ელემენტები, როგორიც არის: ხის კარები, ჩარჩოები, ლითონის სხმული კედლის გამათბობელი;

- უცილობრივ მოსაწესრიგებელია შიდა ეზოს ფასადი, რომელიც სავარაუდოდ ღია აივანი შუშაბანდებით ეხსნებოდა ეზოს. ცხადია შესაძლებელია აღნიშნული თემის ინტერპრეტირება;
- შენობის მასშტაბიდან გამომდინარე შესაძლებლად მიგვაჩნია მისი ფუნქციური ადაპტაცია, შესაბამისად გადასააზრებელია შიდა გეგმარებითი სტრუქტურა. ნებისმიერ შემთხვევაში სასურველია ხელახლა გამოყენებულ იქნას შენობის ავთენტური მასალა ძველი აგური და სხვ;
- როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობა ორი ქუჩის კვეთაზე მდებარეობს და არსებულ განაშენიანებაში მოკრძალებული სიმაღლით გამოირჩევა. ვფიქრობთ რომ შესაფერისი პროექტის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია დაშენების მოწყობაზე საუბარი, ცხადია შენობის საერთო გაბარიტის, პროპორციის, მხატვრული სახისა და მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით.

  და ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ შენობა ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში მდებარეობს, გარდა ამისა, მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, შესაბამისად პასუხისმგებლობა მასზე მუშაობისას ერთიორად იზრდება. თუმცა ცხადია გასათვალისწინებელია მისი მაღალი მხატვრული ღირებულება და საკმაოდ მძიმე ფიზიკური მდგომარეობა, რაც გადაუდებელი ჩარევის აუცილებლობას მოითხოვს, რათა შენობამ სიცოცხლე განაგრძოს. შესაბამისად შენობის რესტავრაცია-ადაპტაციის სამუშაოებისას, გასათვალისწინებელია ის სენსიტიური მახასაითებლები რაც ნაგებობას გააჩნია. სასურველია აღნიშნული პროექტი, იყოს ერთ-ერთი საუკეთესო პრეცენდენტი ძეგლის ადაპტაციის, მისი ფუნქციური და ფიზიკური გაჯანსაღებისა.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია